შპს ,,გეოლოგიური მომსახურეობა“

ქ. თბილისი, ქუჩა მუხრან მაჭავარიანი, N1 (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში

თბილისი 2023

შპს “გეოლოგიური მომსახურეობა”

ქ. თბილისი, ქუჩა მუხრან მაჭავარიანი, N1 (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში

დირექტორი დ.თედორაძე

თბილისი 2023

სარჩევი

I. ზოგადი ნაწილი 4
I.1. ტექნიკური დავალება....4
I.2 გეოლოგიური სამუშაოების პროგრამა 5
I.2 შესავალი....6
I.3. ადგილმდებარეობა და საზღვრები 9
I.4. მეტეოროლოგიური მახასიათებლები....9
I.5 ჰიდროგრაფია, გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები....10
II. სპეციალური ნაწილი....13
II.1. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და კვლევები 13
II.2. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები 14
II.2. დასკვნები და რეკომენდაციები.....14
დანართები:....17
1. გენგეგმა გამონამუშევრების და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის ხაზების დატანით....18
2. სამთო გამონამუშევრის ლითოლოგიური სვეტები.....19
3. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები....22
5. ლიტერატურის სია....24

I. ზოგადი ნაწილი

I.1. ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

დამკვეთი: სს “ჯეო კონსალტინგი ს/კ 205217086

გამოკვლევის მიზანი: სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური მდგომარეობის შესწავლა და ნაგებობის დაფუძნების პირობების დადგენა.

ობიექტის დასახელება: ერთსართულიანი უსარდაფო 175მ^2

ობიექტის მდებარეობა: ქ. თბილისი, ქუჩა მუხრან მაჭავარიანის N1

ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: II კლასი

დაპროექტების სტადია: სამუშაო პროექტი

ობიექტების ტექნიკური დახასიათება:

- **სართულიანობა:** ერთისართული
- **სარდაფი:** უსარდაფო
- **ნაგებობის ტიპი:** კარკასული შენობა
- **საძირკვლის სავარაუდო ტიპი:** დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე

დამკვეთი: / /

I.2 გეოლოგიური სამუშაოების პროგრამა

სს “ჯეო კონსალტინგის ხელმძღვანელობისგან მიღებული ტექნიკური დავალების მიხედვით, დაგვევალა ქ. ქუჩა მუხრან მაჭავარიანის N1-ში ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება.

ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით მიეკუთვნება II საშუალო სირთულის კატეგორიას ს.ნ. და წ. 1.02.07-87დანართი 10. შენობის კლასი პასუხის მგებლობის მიხედვით II კლასს.

საკვლევი ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ, შეირჩა შურფების რაოდენობა (3 შურფი) და გაყვანის ადგილები. შურფების სიღრმეები განისაზღვრა ს.ნ. და წ. 1.02.07-87 ცხრილი 37-ის მიხედვით.

1.შურფების საერთო რაოდენობა: 3 ც;

2. შურფების საერთო მოცულობა- 8 მ;

3. გრუნტების ნიმუშების აღება შურფებიდან - 3 ცალი;

4. გრუნტების ნიმუშების შერჩევა და მომზადება ლაბორატორიაში

შესასწავლად;

5. თითოეულ საინჟინრო-გეოლოგიურ ელემენტზე დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუშებზე სრული ლაბორატორიული კვლევები.

6. საველე და ლაბორატორიული მასალების დამუშავება

7. ანგარიშის შედგენა ქართულ - ენაზე

საველე სამუშაოები ჩატარდება: JSB ექსკავატორის გამოყენებით

სამუშაოების დაწყება: 4 მარტი 2023წ.

სამუშაოების დამთავრება: 4 მარტი 2023 წ.

I.2 შესავალი

სს "ჯეო კონსალტინგის დაკვეთით, ქ.თბილისში ქუჩა მუხრან მაჭავარიანის N1-ში, დამკვეთის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის **(ს/კ 01.10.10.019.001)** ფარგლებში ჩატარდა დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები. ჩატარებული კვლევების მიზანს წარმოადგენდა ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა. შემდეგში აქ განსათავსებელი ერთსართულიანი უსარდაფო შენობების მშენებლობის პროექტის გეოლოგიური გადაწყვეტილებისთვის.

შენობების მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად და ნაგებობების დაფუძნების პირობების დასადგენად, 2023 მარტში, კვლევითი სამუშაოები განახორციელა შპს "გეოლოგიურმა მომსახურეობამ"

დასაპროექტებელი ნაგებობების დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: ანგარიშში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება", გ. ჯაფარიძის "თბილისის საინჟინრო გეოლოგია", აგრეთვე სამშენებლო მოედნების მიმდებარე ტერიტორიებზე წინა წლებში, საქართველოს გეოლოგიური სამსახურის და სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევების შედეგები აგრეთვე სამშენებლო კლიმატოლოგიის და სეისმური დარაიონების მონაცემები.

საველე სამუშაოების, ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე და ფონდურ-საარქივო მასალებზე დაყრდნობით, შედგენილია წინამდებარე საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიში, რომელიც მოიცავს განმარტებით ბარათს და გრაფიკულ დანართებს.

ტექნიკური დავალების და დამკვეთის მიერ გადმოცემული შენობის გეგმური განლაგების მიხედვით სამშენებლო საპროექტო შენობა 1 სართულიანი უსარდაფოა. ნაგებობა პასუხისმგებლობის მიხედვით განეკუთვნება **II (მესამე) კლასს.**

შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე შესრულდა სარეკოგნოსცირო მარშუტები, რომლის შემდეგ დასაფუძნებელი შენობის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად განხორციელდა შემდეგი სახის და მოცულობის საველე და ლაბორატორიული სამუშაოები:

- გრუნტების ლითოლოგიური ჭრილის და მშენებლობისთვის გამოყოფილი სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, გაყვანილი იქნა **3 შურფი,** ჯამური სიღრმით **8 გრძ.მეტრი;**
- გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად გამონამუშევრებიდან აღებული იქნა შეკავშირებელი გრუნტების **3 ქვიშაქვის ნიმუში.**
- საველე სამუშაოების დამთავრების შემდეგ მოხდა გამონამუშევრების ლიკვიდაცია.

მიმოხილვითი რუკა



პირობითი ნიშნები

საკვლევი ტერიტორია



პირობითი ნიშნები

საკვლევი ტერიტორია



პირობითი ნიშნები

ტერიტორია ქ. თბილისის მიწათსარგებლობის გენგეგმის გეოლოგიური საფრთხეების მიხედვით საშუალო საფრთხის დონე; „სსიპ გარემოს ერ. სააგენტო“

I.3. ადგილმდებარეობა და საზღვრები

სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N1-ში მდ. დიღმისწყლის მარჯვენა ნაპირზე, **492-495** მეტრი აბსოლუტური ნიშნულების ფარგლებში. საკვლევი ტერიტორიის ცენტრალური ნაწილის კორდინატებია (WGS-84-ის მიხედვით): **X-479800,Y-4622600.**

I.4. მეტეოროლოგიური მახასიათებლები

საკვლევი რაიონის კლიმატური პირობების შეფასებისთვის გამოყენებულია უახლოესი მეტეოსადგურებისა და სნ. და წ. „ სამშენებლო კლიმატოლოგია“ -ს (პნ.01.02-08) მონაცემები.

ქვემოთ მოგვყავს კლიმატის ცალკეული ელემენტების მონაცემები, აღებული ს.ნ. და წ. „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ.01.06-08)-ის მიხედვით.

წლის საშუალო ტემპერატურაა 12,2^0, აბსოლუტური მინიმუმი -23^0, აბსოლუტური მაქსიმუმი 40^0, ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმია 30,5^0, ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო -8^0, ყველაზე ცივი დღის საშუალო-12^0, ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო 0,2^0, ყველაზე ცივი თვის საშუალო ტემპერატურა 13 საათზე შეადგენს 2,9, ხოლო ყველაზე ცხელი თვისთვის შეადგენს 27,9^0.

წელიწადში 560 მმ ნალექი მოდის, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი 147 მმ-ს შეადგენს.

ირიბი წვიმების ორიენტაციის მიხედვით, მმ %. თვის მაქსიმუმი 26, თბილი პერიოდისათვის 117, წელიწადში 6140.

თოვლის საფარის წონა 0.50 კპა-ს შეადგენს, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 14.

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები W_0 5 წელიწადში ერთხელ შეადგენს 0.73კპა-ს, ხოლო W_0 15 წელიწადში ერთხელ შეადგენს 0.85 კპა-ს.

ქარის ყველაზე დიდი შესაძლო სიჩქარე, მ/წმ

ყოველწლიურად	5 წელიწადში	10 წელიწადში	15 წელიწადში	20 წელიწადში
28	**33**	**35**	**36**	**37**

ქარის მიმართულების განმეორადობა (%)

იანვარი, ივლისის თვეებისთვის: ჩრდილოეთის 27/32, ჩრდილო-აღმოსავლეთის 3/4, აღმოსავლეთის 3/4, სამხრეთ-აღმოსავლეთის 23/18, სამხრეთის 5/9, სამხრეთ-დასავლეთის 2/2, დასავლეთის 6/2 და ჩრდილო-დასავლეთის 31/29. ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე მ/წმ იანვრისთვის 4,8/0.5, ივლისისთვის 4,6/1,0.

ქარის მიმართულების და შტილის განმეორადობა (%) წელიწადში.

ჩრდილოოეთის 26, ჩრდილო-აღმოსავლეთის 3, აღმოსავლეთის 4, სამხრეთ-აღმოსავლეთის 25, სამხრეთის 8, სამხრეთ-დასავლეთის 2, დასავლეთის 14 და ჩრდილო-დასავლეთის 28. შტილიანი დღეთა საერთო რიცხვი 33.

საკვლევ ტერიტორიაზე გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე შეადგენს 0 სმ-ს.

I.5 ჰიდროგრაფია, გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

ჰიდროგრაფია. რაიონის მთავარი ჰიდროგრაფიული ერთეულია მდ. მტკვარი. ქსელის ხასიათის მიხედვით თბილისის მიდამოები ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: მარჯვენანაპირეთში ჰიდროგრაფიული ქსელი უფრო ხშირია, ვიდრე მარცხენანაპირეთში, მდინარეებს ვიწრო ხეობები, მეტი ვარდნა და დახრილობა აქვთ.

მტკვარი შერეული საზრდოობის მდინარეა, იკვებება თოვლით, წვიმით და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა ახასიათებს გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში. შემოდგომაზე ხანდახან წყალმოვარდნა იცის. ივლის-აგვისტოში წყალმცირობაა, მდგრადი წყალმცირობა კი ზამთარში ახასიათებს.

თბილისის მიდამოებში მტკვარს რამდენიმე შენაკადი აქვს. მარჯვენა შენაკადებიდან მთავარია: დიღმისწყალი, ვერე და წავკისისხევი.

სწორედ მდ. დიღმისწყლის მარჯვენა ფერდობზე მდებარეობს საკვლევი ტერიტორია.

გეომორფოლოგია. თბილისი და მისი მიდამოები საკმაოდ რთული მორფოლოგიური (ტექტონიკური, ლითოლოგიური) აგებულებისაა. მან განიცადა როგორც ძველი, ისე თანამედროვე ეროზიულ-დენუდაციური და აკუმულაციური პროცესების ინტენსიური ზემოქმედება. ამის შედეგად რელიეფი ნაირგვარია. ყურადღებას იქცევს თბილისის მიდამოების მარჯვენანაპირეთსა და მარცხენანაპირეთს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებანი. მარჯვენანაპირეთის შემოგარენი უფრო მაღლა მდებარეობს, უმეტესი ნაწილი მთაგორიანია. რელიეფი ძირითადად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის ანტიკლინური განშტოებებით და მათ შორის მოქცეული სინკლინური ხევ-ხეობებით, რომელიც უფრო ციცაბოა და ძლიერ არის დაღარული მდინარეთა ხეობებით და ხრამებით.

თბილისის მიდამოებში არის რელიეფის მსხვილი ფორმები, რომელთა წარმოქმნაში წამყვანი როლი ტექტონიკურმა პროცესებმა შეასრულა: სხვადასხვა დროის ოროგენეტიკური მოძრაობების შედეგად აქ ჩაისახა და განვითარდა სინკლინური და ანტიკლინური ნაოჭები, შეიქმნა რელიეფის მსხვილი სტრუქტურული ფორმები. ოროგრაფიული ერთეულებიდან თბილისის სამხრეთ საზღვარზეა თელეთის ქედი, რომლის სიგრძე მდ. მტკვრიდან დასავლეთით 13-14 კმ-ზეა გადაჭიმული, ამავე მიმართულებით ქედი მაღლდება 441.0 მ-დან 1100.0 მ-მდე. თელეთის ქედზე მდებარეობს მწ. შავნაბადა (825 მ). თელეთის ქედის გაგრძელებას დასავლეთით წარმოადგენს კოჯორ-საყარაულოს ქედი (მწ. საყარაულო 1473 მ), რომელიც დასავლეთით თანდათან მაღლდება და მდინარეების ვერესა და ალგეთის საკმაოდ მაღალი წყალგამყოფით უკავშირდება თრიალეთის მთავარ ქედს. თელეთის ქედის სამხრეთით მდებარე კუმის-წალასყურის ვაკე და კუმისის ტაფობი ვაკე - წალასყურის სერით ორად იყოფა: წალასყურის (აღმოსავლეთით) ვრცელ და მაღალ (ზ.დ. 600-700 მ) და კუმისის (დასავლეთით) შედარებით დაბალ (ზ.დ. 500 მ-მდე) და მცირე ვაკედ.

უშუალოდ საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის ხეობის მარჯვენა 492-495 მეტრ აბსოლუტურ ნიშნულებს შორის მოქცეულ ფერდობს, ნაკვეთი დახრილია ჩრდილოეთით საშუალოდ 12^0-ით.

კვლევის დროს ტერიტორიის მორფოლოგიური და მორფომეტრიული ბუნებიდან გამომდინარე აქ და მიმდებარე ტერიტორიაზე თანმედროვე გეოდინამიკური პროცესებით გამოწვეული რელიეფის ფორმირების შეცვლა და ახლის ჩამოყალიბება არ დაფიქსირებულა, გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით და ჩვენს მიერ ადგილზე ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ მთლიანი ტერიტორია განეკუთვნება გეოდინამიკური თვალსაზრისით საშუალო საშიშროების შემცველ ტერიტორიას, ფერდობის და ძირითადი ქანების დახრა თანხვედრაშია, მხოლოდ დახრის კუთხეებშია სხვაობა, დაქანების აზიმუტი 10-20^0 დახრის კუთხე <35^0, შენობის პროექტირებისას აუცილებელია ფერდობის მხრაეს, სადაც ძირითად ქანებზე განთავსებულია ტექნოგენური გრუნტების დიდი ფენა გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი რკინა ბეტონის კედლის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყობს ფერდობის და შენობის მდგრადობას.

გეოლოგიური აგებულება. ტექტონიკური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მცირე კავკასიონის (ანტიკავკასიონის) ნაოჭა (ნაოჭა შეცოცებითი) სისტემა აჭარა-თრიალეთის (ნაოჭა ანტიკლინორიული) ზონა. სამხრეთ ქვეზონის ასპინძა თბილისის ბლოკში.– ი.პ. გამყრელიძე “საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დაყოფის სქემა„ 2004წ.

გეოლოგიურად ტერიტორია განლაგებულია ლისის ანტიკლინის სამხრეთ და საბურთალოს სინკლინის ჩრდილო ფრთაზე.

საკვლევ ნაკვეთზე გავრცელებული ძირითადი ქანები თანხმობით ადევს ხადუმის ჰორიზონტს, იგი წარმოდგენილია მძლავრი ქვიშიან-თიხიანი და თიხიანი ჰორიზონტით. მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ეს ნალექები სქელშრეებრივი ქვიშაქვებით არის წარმოდგენილი, რომელიც ქვიშაქვების თხელ შუაშრეებიან თიხებთან და ალევროლიტებთან მორიგეობენ. ქვიშაქვები აქ ნაცრისფერი და მომწვანო ფერისაა დაწყებულია წვრილმარცლოვანიდან დამთავრებულია უხეშმარცლოვნით, ადგილებში გრაველიტებშიდაც კი გადადიან. ცემენტი კირქვიანია ან თიხიან-კირქვიანია, პოლიმიქტიური შედგენილობისაა, მაგრამ ტუფოგენურ მასალას არ შეიცავენ, ისინი შუა ეოცენური მასალის გადარეცხვის პროდუქტს წარმოადგენენ. ალევროლიტები ნაცრისფერი და მოყვითალო-ყავისფერია, თხელშრეებრივი-ფურცელაა, თავისი ჰაბიტუსით ზოგჯერ ახლოს დგას ტიპიურ მაიკოპის თიხებთან. თიხები და ალევროლიტები თითქმის არ შეიცავენ პალეონტოლოგიურ ნარჩენებს,

ეს რეგიონი ლითოლოგიურად აგებულია საშუალო და სქელშრეებრივი არკოზული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. აღნიშნული ქანების მორიგეობა რეგიონი სტაბილურია. მიმართების გასწვრივ ხასიათდება ქვიშაქვების მარცვლების გრანულომეტრიული ზომების ცვალებადობა მსხვილ მარცლოვანიდან საშუალო და წვრილმარცლოვანამდე.

საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური რუკა



საკვლევი ტერიტორია

ქანები განეკუთვნებიან კლდოვან და ნახევრად კლდოვან ქანების ჯგუფს და ასაკობრივად განეკუთვნებიან ოლიგოცენური ასაკის „მაიკოპის წყებას" (pg_3^{2+3}). კერძოდ მაიკოპის წყების შუა ქვიშაქვებიან ჰორიზონტს. ქანებში ძირითადად ქვიშაქვები დომინირებს, მათ შორის მსხვილ მარცლოვანი 35-40%, საშუალო მარცლოვანი 28-30%, წვრილმარცლოვანი 15%. არგილიტები 10-15%-ის ფარგლებში. ქანების შრეები დახრილია ჩრდილო-აღმოსავლეთით (დახ. აზიმუტი 10-20^0) სადაც შრეთა დახრილობა ჰორიზონტის მიმართ 35^0. აღნიშნულ ქანებზე, ზემოდან, განლაგებულია თხელი, ფხვიერი, კოლუვიური წარმოშობის მეოთხეული ასაკის დელუვიური ნალექები და ტექნოგენური გრუნტები.

ტექტონიკურად რეგიონი მშვიდია, ტერიტორიაზე არ შეიმჩნევა ბლოკური, მეწყრული, ღვარცოფული, სუფოზიური და სხვა რაიმე დენუდაციური პროცესების ნიშნები, ამასთანავე რეგიონში ჰიდროქსელი ძალიან სუსტია და არ ქმნის რელიეფის და ნიადაგის გაწყლოვანებას. ნალექების ინტენსიური აქტივობის დროს, წვიმის წყლის ნაკადები ჩამოედინება ფერდობების გასწვრივ და არ ქმნის დანაგროვებს. ამასთანავე, ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების და ჩვენს მიერ გაყვანილ გამონამუშევრებში კვლევის დროს არ გამოვლინდა წყლის მოდენა.

ჰიდროგეოლოგიური პირობები. საკვლევი ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის თბილისის ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ წყალდაწნევით სისტემას.

საკვლევ უბანზე ისევე, როგორც ყველგან გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობის ხასიათი და გავრცელება განისაზღვრება უპირველესად გეომორფოლოგიით, გეოლოგიური აგებულებით და ფიზიკო-გეოგრაფიული პირობებით. უბანზე გრუნტის წყლების ბუნებრივი გამოსავლები ზედაპირზე კვლევის დროს არ დაფიქსირებულა.

II. სპეციალური ნაწილი

II.1. საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და კვლევები

ტერიტორიის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე თანამედროვე საშიში გეოლოგიური პროცესების გამოვლენა ან მათ მიერ დატოვებული შეცვლილი ფორმები არ დაფიქსირდა. შესაბამისად, შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში.

შესწავლილი ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში გეოლოგიურად აგებულია მესამეული ასაკის კლდოვანი და ნახევრად კლდოვანი ქანებით, რომლებიც გადაფარულია ტექნოგენური გრუნტებით.

გრუნტების ვერტიკალური ჭრილების შესასწავლად გაყვანილი იქნა 3 შურფი. ჯამური სიღრმით 8.0 გრძივი მეტრი. გამონამუშევრებით გახსნილი იქნა, ამგები გრუნტები.

ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილია ორი ფენა:

1. **ფენა №1** - 0.30 მეტრის ფარგლებში გავრცელებულია ტექნოგენური ფენა. **(tQ_{IV});**

2. **ფენა №2** – პირველი ფენის ქვეშ გავრცელებულია გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა. **(Pg_3^{2+3});**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საამშენებლო ობიექტის ფარგლებში გამოიყოფა მხოლოდ ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი:,

სგე I (ფენა N3) - გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა. (Pg_3^{2+3});

II.2. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

საამშენებლო მოედნის ფარგლებში გამოყოფილი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტების ძირითადი მაჩვენებლები მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ვინაიდან არგილიტები დაიშალა მცირე ზომის ნატეხებად მასზე ლაბორატორიული კვლევების ჩატარება ვერ მოხერხდა, ქვიშაქვები კი რამდენიმე ათეული მეგაპასკალით აღემატება არგილიტების მონაცემებს, ყოველივეს გათვალისწინებით, საველე კვლევებით აღწერილ ქანებთან, ლაბორატორიული, საცნობარო ლიტერატურის და ფონდური მასალის ინტერპრეტაციით მიღებული იქნა საკვლევ არეალში გავრცელებული გრუნტებისთვის, შემდეგი მახასიათებლები, რაც მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

სგე I (ფენა N3) - გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა. (Pg_3^{2+3});

№№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზომილ. ერთეული	რიცხვითი მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2.22
2	საანგარიშო წინაღობა	R_c	კგ/სმ^2	15.20
3	დეფორმაციის მოდული	E_0	კგ/სმ^2	5000
4	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრადუსი	22^0
5	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კპა	160
6	პუასონის კოეფიციენტი	μ	--	0.27

II.2. დასკვნები და რეკომენდაციები.

1. საკვლევი ტერიტორია - **ს/კ 01.10.10.019.001,** ტექტონიკურად მდებარეობს მცირე კავკასიონის ნაოჭა (შეცოცებით) სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-ანტიკლინური

სამხრეთი ქვეზონის, ასპინძა-თბილისის სექტორში. ტერიტორია განლაგებულია ლისის ანტიკლინის სამხრეთ და საბურთალოს სინკლინის ჩრდილო ფრთაზე. აბსოლუტური ნიშნულებით **492-495** მეტრის ფარგლებში;

2. გეოლოგიურად აგებულია ოლიგოცენური ასაკის **(Pg_3^{2+3})** ე.წ. მაიკოპის წყების წყების ქანებით წარმოდგენილი ქვიშაქვებით და არგილიტებით. ზედა ნაწილში ნალექები ძლიერ გამოფიტულია. აღმავალ ჭრილში მათ ცვლის კოლუვიური ნალექები.

3. კვლევის დროს ტერიტორიის მორფოლოგიური და მორფომეტრიული ბუნებიდან გამომდინარე აქ და მიმდებარე ტერიტორიაზე თანმედროვე გეოდინამიკური პროცესებით გამოწვეული რელიეფის ფორმირების შეცვლა და ახლის ჩამოყალიბება არ დაფიქსირებულა, გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით და ჩვენს მიერ ადგილზე ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ მთლიანი ტერიტორია განეკუთვნება გეოდინამიკური თვალსაზრისით საშუალო საშიშროების შემცველ ტერიტორიას, ფერდობის და ძირითადი ქანების დახრა თანხვედრაშია, მხოლოდ დახრის კუთხეებშია სხვაობა, დაქანების აზიმუტი 10-20^0 დახრის კუთხე <35^0, შენობის პროექტირებისას აუცილებელია ფერდობის მხრაეს, სადაც ძირითად ქანებზე განთავსებულია ტექნოგენური გრუნტების დიდი ფენა გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი რკინა ბეტონის კედლის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყობს ფერდობის და შენობის მდგრადობას.

4. საკვლევი ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის თბილისის ნაპრალოვან და ნაპრალოვან-კარსტულ წყალდაწნევით სისტემას.
საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და ჩვენს მიერ გაყვანილ ჭაბურღილებში გრუნტის წყლების გამოსავალი კვლევის დროს არ დაფიქსირებულა.

5. სამშენებლო მოედნის შეფასებისას ს.ნ და წ 02.07-87, მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო უბანი მიეკუთვნება **II (საშუალო სირთულის) კატეგორიას;**

6. საკვლევ უბანზე გამოყოფილია ერთი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი:

1. **სგე I (ფენა N3) გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა. (Pg_3^{2+3})**

7. შენობის და ფერდობ სამაგრი კედლის ფუძე საძირკვლების გაანგარიშებისთვის მიღებული უნდა იქნას საფუძვლის ამგები გრუნტების შემდეგი მახასიათებლები:

სგე I (ფენა N3) - გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა. (Pg_3^{2+3});

№№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზომილ. ერთეული	რიცხვითი მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2.22
2	საანგარიშო წინაღობა	R_c	კგ/სმ^2	15.20

3	დეფორმაციის მოდული	E_0	კგ/სმ^2	5000
4	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრადუსი	22^0
5	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კპა	160
6	პუასონის კოეფიციენტი	μ	--	0.27

8. საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების სქემის მიხედვით (პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა), საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება **8 ბალიანი სეისმური აქტივობის ზონას,** 0.17 უგანზომილებო კოეფიციენტით;

9. ქარის მაქსიმალური სიჩქარე 20 წელიწადში ერთხელ შეადგენს 37 მ/წ-ს;

10. ს.ნ. და წ. IV-5-82- ის, 1.1 ცხრილის თანახმად, გრუნტები დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნებიან:
1. **ფენა 1** - ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას **II კატეგორია,**
2. **ფენა 3 - (სგე I)** – ერთციცხვიანი ექსკავატორით და ხელით დამუშავებისას, **V კატეგორია;**

11. ქვაბულის ფერდოების დახრის დასაშვები სიდიდე, უბანზე გავრცელებული გრუნტებისათვის მიღებული იქნას ს.ნ და წ. 3.02.01.87 პ.პ. 3.11; 3.12; 3.15 და ს.ნ და წ. III-4-80, მე-9 თავის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

12. ჩატარებული კვლევების, მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით და გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით სამშენებლო მოედანზე, პროექტით გათვალისწინებული შენობების მშენებლობა ცალსახად შესაძლებელია.

დასკვნა შეადგინა:

ინჟინერ-გეოლოგი,
გეოლოგიის აკადემიური დოქტორი დ. თედორაძე **დ. თედორაძე**

დანართები:

1. გენგეგმა სამთო გამონამუშევრების განლაგების სქემით
2. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები (3ფურც.)
3. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები (1 ფურც.)
4. ლაბორატორიული კვლევის შედეგები
5. ანგარიშის ელექტრონული ვერსია

1. გენგეგმა გამონამუშევრების და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილის ხაზების დატანით



2. სამთო გამონამუშევრის ლითოლოგიური სვეტები.



დაწყების თარიღი: 04.03.2023 დასრულების თარიღი 04.03.2023	შურფი № 1						
	ნიმუში/ ადგილზე ტესტირება				გამონამუშევარი გაყვანილია GSB მარკის ქსკავატორით	გრუნტის წყლის დონე: არ გამოვლენილა	
სგე №	შურფი სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	სიმძლავრე	ლითოლოგიური სიმბოლო
					მიწის ზედაპირი	0.0	
	0.0				ტექნოგენური ფენა	0.3	
1	1.0	1.10-1.20	მ	1	გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა.	2.30	
	2.0						
	3.0						
	4.0						
	5.0						
	6.0						
	7.0						
	8.0						
	9.0						
დამკვეთი: სს “ჯეო კონსალტინგი”	შემსრულებელი: შპს “გეოლოგიური მომსახურეობა”				ქ. თბილისი, ქუჩა ჭუჩა მუხრან მაჭავარიანი, N1 (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში		



დაწყების თარიღი: 04.03.2023 დასრულების თარიღი 04.03.2023	შურფი № 2						
	ნიმუში/ ადგილზე ტესტირება				გამონამუშევარი გაყვანილია *GSB* მარკის ქსკავატორით	გრუნტის წყლის დონე: არ გამოვლენილა	
სვე №	შურფი სიღრმე (მ)	სიღრმე (მ)	ტიპი	ნიმუშის ნომერი	შრის აღწერა	სიმძლავრე	ლითოლოგიური სვეტი
					მიწის ზედაპირი	0.0	
	0.0				ტექნოგენური ფენა	0.3	
1	1.0 2.0 3.0	1.40-1.50	მ	3	გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა.	3,70	
	4.0 5.0 6.0 7.0 8.0 9.0						
დამკვეთი: სს “აჯი კონსალტინგი”	შემსრულებელი: შპს “გეოლოგიური მომსახურეობა”				ქ. თბილისი, ქუჩა ქუჩა მუხრან მაჭავარიანი, N1 (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში		


დაწყების თარიღი: 04.03.2023
დასრულების თარიღი 04.03.2023
შურფი № 3
ნიმუში/ ადგილზე ტესტირება
გამონამუშევარი გაყვანილია GSB მარკის ქსკავატორით
გრუნტის წყლის დონე: არ გამოვლენილა
სვე №
შურფი სიღრმე (მ)
სიღრმე (მ)
ტიპი
ნიმუშის ნომერი
შრის აღწერა
სიმძლავრე
ლითოლოგიური სიმბოლოები
მიწის ზედაპირი
0.0
ტექნოგენური ფენა
0.3
1
1.00.1.10
მ
3
გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა.
2.00
0.0
1.0
2.0
3.0
4.0
5.0
6.0
7.0
8.0
9.0
დამკვეთი: სს “აჯო კონსალტინგი”
შემსრულებელი: შპს “გეოლოგიური მომსახურეობა”
ქ. თბილისი, ქუჩა ქუჩა მუხრან მაჭავარიანი, N1 (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში

3. საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები



ქ. თბილისი, ქუჩა ქუჩა მუხრან მაჭავარი, N1 (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში			სტა-დია
გეოლოგიურ-ლითოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი			მ.დ
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	
გეოლოგი	თედორაძე		
გეოლოგი			

ლაბორატორიული კვლევების შედეგები

გრუნტების ლაბორატორიული კვლევის კრებსითი ცხრილი (მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N1)

#	გამონამუშევრის N	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე, Rc, კგძ/სმ²	გრუნტის აღწერა
			ბუნებრივი	
1	1	1.2	33	ქვიშქვა და არგილიტი
2	2	1.5	22	ქვიშაქვა დაბალი სიმტკიცის

შესრულების თარიღი 04.03.2023-07.03.2023

5. ლიტერატურის სია

1. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 1. გამომცემლობა „მეცნიერება", 1969, თბილისი.
2. ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. 2. გამომცემლობა „მეცნიერება", 1970, თბილისი.
3. პნ 01.05-08 დაპროექტების ნორმების - „სამშენებლო კლიმატოლოგია". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1743, 2008 წლის 25 აგვისტო ქ. თბილისი.
4. პნ 02.01-08 სამშენებლო ნორმების და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1924, 2008 წლის 17 სექტემბერი ქ. თბილისი.
5. პნ 01.01-09 სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა". საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი.
6. СНиП-IV-5-82 Сборники элементных сметных норм на строительные конструкции и работы (გრუნტის კატეგორია ბურღვა-აფეთქების მიხედვით).
7. СНиП-2,02,01-83* Строительные нормы и правилаю Основания зданий и Сооружений.
8. ГОСТ 12071-84 Грунты. Отбор, упаковка, транспортирование и хранение образцов.
9. СНиП 1.02.07-87 ИНЖЕНЕРНЫЕ ИЗЫСКАНИЯ ДЛЯ СТРОИТЕЛЬСТВА.
10. ГОСТ 25100-82 Грунты, классификация.
11. ГОСТ 25100-95 Грунты, классификация.
12. СНБ 5.01.01-99 Основания и фундаменты зданий и сооружений.
13. СП 11-105-97 Система нормативных документов в строительстве, свод правил по инженерным изысканиям для строительства, инженерно-геологические изыскания для строительства.

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ. თბილისში, მუხრან მაჭავარიანის ქ.N1-ში, (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის განკუთვნილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა

სს "ჯეო კონსალტინგი"-ს ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2023 წლის მარტში შემოწმებულია ქ. თბილისში, მუხრან მაჭავარიანის ქ.N1-ში, (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის განკუთვნილ ნაკვეთზე, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ.თბილისში, მუხრან მაჭავარიანის ქ.N1-ში, (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის განკუთვნილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს "გეოლოგიური მომსახურეობა"-ს გეოლოგთა ჯგუფის მიერ 2023 წლის 4 მარტს. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი დ. თედორაძე. მის მიერ მოხდა: საკვლევი ტერიტორიის ვიზუალური შესწავლა, დამუშავდა რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა, ჩატარდა საველე კვლევითი და ლაბორატორიული სამუშაოები. დასკვნის შედგენაში გამოყენებულია სამშენებლო მოედნების მიმდებარე ტერიტორიებზე წინა წლებში, საქართველოს გეოლოგიური სამსახურის და სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევების შედეგები აგრეთვე სამშენებლო კლიმატოლოგიის და სეისმური დარაიონების მონაცემები. ანგარიშში ასევე გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება".

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 11 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. სამუშაოს პროგრამა ..... 1 გვ;
4. მიმოხილვითი რუკა ..... 1 გვ;
5. აეროფოტო ..... 1 გვ;
6. გრუნტების კვლევის კრებსითი ცხრილი ..... 1 გვ;
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 3 ფურც;
8. გეოლოგიური ჭრილი ..... 1 ფურც;

9. ტოპორუკა სამთოგამონამუშევრების დატანით..... 1 ფურც.

პროექტით ასაშენებლია ერთსართულიანი, უსარდაფო, შენობა კარკასულია. ფართობი დაახლოებით 175 კვ.მეტრია. საძირკვლის ტიპი დამოკიდებულია საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევის შედეგებზე. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით: II.

სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში მუხრან მაჭავარიანის ქ.N1-ში, (ს/კ 01.10.10.019.001). უშუალოდ საკვლევი ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის ხეობის მარჯვენა 492-495 მეტრ აბსოლუტურ ნიშნულებს შორის მოქცეულ ფერდობს, ნაკვეთი დახრილია ჩრდილოეთით საშუალოდ 12^0-ით. კვლევის დროს ტერიტორიის მორფოლოგიური და მორფომეტრიული ბუნებიდან გამომდინარე, აქ და მიმდებარე ტერიტორიაზე თანმედროვე გეოდინამიკური პროცესებით გამოწვეული რელიეფის ფორმირების შეცვლა და ახლის ჩამოყალიბება არ დაფიქსირებულა, გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით და ადგილზე ჩატარებული კვლევებით დასტურდება, რომ მთლიანი ტერიტორია განეკუთვნება გეოდინამიკური თვალსაზრისით საშუალო საშიშროების შემცველ ტერიტორიას, ფერდობის და ძირითადი ქანების დახრა თანხვედრაშია, მხოლოდ დახრის კუთხეებშია სხვაობა, დაქანების აზიმუტი 10-20^0 დახრის კუთხე <35^0, შენობის პროექტირებისას აუცილებელია ფერდობის მხარეს, სადაც ძირითად ქანებზე განთავსებულია ტექნოგენური გრუნტების დიდი ფენა გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი რკინა ბეტონის საყრდენი კედლის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყობს ფერდობის და შენობის მდგრადობას.

სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის, მისი გეოლოგიური ჭრილებისა და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლის მიზნით, გაყვანილი იქნა 3 შურფი, ჯამური სიღრმით 8,0 გრძ.მეტრი. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასადგენად გამონამუშევრებიდან აღებული იქნა გრუნტის ნიმუშები, რომლებიც გამოკვლეულია ლაბორატორიულად.

საველე, ფონდური და ლაბორატორიული მასალების განზოგადოების საფუძველზე, სამშენებლო მოედნის ფარგლებში გამოიყო შემდეგი ფენა:

1. **ფენა № 1** - ტექნოგენური გრუნტები (tQ_{IV}); გავრცელებულია მთელ საკვლევ ტერიტორიაზე სიმძლავრით 0,3 მეტრამდე;
2. **ფენა № 2 - სგე I** – გამოფიტული ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა; გავრცელებულია 0,3მ-დან, მთელ დაძიებულ სიღრმემდე.

გრუნტის ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლებია:

- სიმკვრივე ρ =2,22გ/სმ^3 ;
- კუთრი შეჭიდულობა Cn=160კპა(1,6კგძ/სმ^2);
- შიგა ხახუნის კუთხე φ=20^0;
- დეფორმაციის მოდული E=5000 კგძ/სმ^2;
- საანგარიშო წინაღობა $R_ც$=15,20კგძ/სმ^2;
- პუასონის კოეფიციენტი μ=0,27.

ანგარიშში ვრცლადაა მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანის საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში და გაყვანილ ჭაბურღილებში გრუნტის წყლების გამოსავალი კვლევის დროს არ დაფიქსირებულა.

საკვლევი ტერიტორია განეკუთვნება 8-ბალიან სეისმურ რაიონს, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17. სამშენებლო ფართზე გავრცელებული გრუნტები მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სამშენებლო უბანი მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ობიექტის მშენებლობასა და მის შემდგომ ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის. მშენებლობისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი მდგრადია და მშენებლობისთვის იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში. ჩატარებული კვლევების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციას, რადგან ტერიტორია გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემებით განეკუთვნება გეოდინამიკური თვალსაზრისით საშუალო საშიშროების ზონას, (ფერდობის და ძირითადი ქანების დახრა თანხვედრაშია) შენობის პროექტირებისას აუცილებელია ფერდობის მხარეს, სადაც ძირითად ქანებზე განთავსებულია ტექნოგენური გრუნტების დიდი ფენა გათვალისწინებული იქნეს შესაბამისი რკინა ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს ფერდობის და შენობის მდგრადობას.

დასკვნა

ქ. თბილისში, მუხრან მაჭავარიანის ქ.N1-ში, (ს/კ 01.10.10.019.001) ერთსართულიანი უსარდაფო შენობის მშენებლობისთვის განკუთვნილ ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი,პროფესორი: *ია მშვიდობაძე*

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
